საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 1194/01
31/01/2020

1194-01-2-202001311402

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდს

მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N150

სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 27 იანვარს წარმოდგენილი (N166-გ) წერილი, რომელიც ეხება გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, სოფ. ველისციხიდან სოფ. კაკაბეთამდე (ცენტრალური მაგისტრალიდან სოფ. ჭერემის გავლით) გზის რეკონსტრუქციისა და მშენებლობის პროექტს.

წარმოდგენილი წერილის თანახმად პროექტში დაგეგმილია ცვლილება, კერძოდ პროექტით დაგეგმილი გზა დაგრძელდება 2500 მეტრით, აღნიშნული ცვლილების შედეგად საპროექტო გზა აღარ დასრულდება სოფელ კაკაბეთში, რაც გათვალისწინებული იყო გზშ-ს ანგარიშში, შედეგად გზა დაუერთდება თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საერთაშორისო მნიშვნელობის გზას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად და პროექტში დაგეგმილი ცვლილებებიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, სადაც განხილული იქნება აღნიშნული ცვლილებებით დამატებული საპროექტო გზის მონაკვეთი.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013